მენორა

ДАМОУКИДЕБЕЛИ ЕБРАУЛИ ГАЗЕТИ САКАРТВЕЛОШИ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი
იარი
№5 (453)
(5779)
2019

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ისრაელის დამოუკიდებლობის დღე

5708 წლის 5 იარს — ახალი სტილით 1948 წლის 14 მაისს ებრაელმა ხალხმა აღიდგინა სახელმწიფოებრიობა.

წელს ეს თარიღი 9 მაისს დაემთხვა.

ამ დღეებში ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს თბილისშიც იზეიმებენ.

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

სრულიად რუსეთის ებრაელ სტუდენტთა კავშირი

გაზეთი „მენორა“ მკითხველს წარმოუდგენს სრულიად რუსეთის ებრაელ სტუდენტთა კავშირს, რომლის დამფუძნებელი და პრეზიდენტი გახლავთ შოთა მირილაშვილი.

ამ თემაზე სასაუბროდ ჩვენი კორესპოდენტი მოსკოვში შეხვდა სრულიად რუსეთის ებრაელ სტუდენტთა კავშირის გენერალურ დირექტორს ილია როზენცვეიგს.

სრულიად რუსეთის ებრაელ სტუდენტთა კავშირის პრეზიდენტი შოთა მირილაშვილი და რუსეთის მთავარი რაბინი ბერლ ლაზარი.

— ილია, გვითხარით როგორ შეიქმნა თქვენი კავშირი?

— ყველაფერი ასე დაიწყო: ჩვენი კავშირის დამფუძნებელი და პრეზიდენტი შოთა მირილაშვილი სწავლობდა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში. მან იქ ჩამოაყალიბა ებრაელ სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც აერთიანებდა ამ ინსტიტუტის ებრაელ სტუდენტებს. იქ ეწყობოდა იუდაისტური დღესასწაულების აღნიშვნა, შეხვედრები ებრაელ მოღვაწეებთან და სხვა მისთანანი. სწორედ ამ ინსტიტუტის ებრაელ სტუდენტთა ჯგუფის ბაზაზე 2015 წელს ჩამოვაყალიბეთ სრულიად რუსეთის ებრაელ სტუდენტთა კავშირი. ამ კავშირის ჩამოყალიბებას აქტიურად დაუჭირა მხარი რუსეთის ფედერაციის მთავარმა რაბინმა ბერლ ლაზარმა.

— რა მიზანს ისახავს კავშირი, რისთვის შეიქმნა იგი?

— უმთავრესი მიზანი გახლავთ რუსეთის ებრაელი სტუდენტობისა და ახალგაზრდობის განვითარების ყოველმხრივი ხელშეწყობა, რუსეთის ებრაელი ახალგაზრდების ინტერესების დაცვა, ვიღწვით იმისათვის, რომ ეფექტური გავხადოთ რუსეთის უზარმაზარ ფედერაციაში მიმოფანტული ებრაელი სტუდენტების ურთიერთკომუნიკაცია, ჩვენი სახელმწიფოს ებრაელი ახალგაზრდები დავაკავშიროთ ებრაულ თემებთან, ორგანიზაციებთან, ეროვნულ ტრადიციებთან, კულტურასთან, მათს შორის გავაძლიეროთ განათლებისადმი ლტოლვა, ახალგაზრდობის პროფესიონალიზმი, ვცდილობთ და ვფიქრობ, მიზანსაც ვაღწევთ, ებრაელ სტუდენტებს შორის სამეწარმეო პოტენციალის გაღვივების საქმეში, დღეს ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთში და არა მხოლოდ რუსეთში, მთელ მსოფლიოში ანტისემიტიზმთან ბრძოლა, გვსურს გავაღრმავოთ ეროვნებათა და სახელმწიფოთაშორისო დიალოგი, ასევე საერთაშორისო ურთიერთობები — განსაკუთრებით რუსეთსა და ისრაელს შორის. ჩვენ ორიენტირებულნი ვართ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ახალკურსდამთავრებულებზე და 16-27 წლის ახალგაზრდებზე. თუმცაღა, არც სკოლების მაღალი — დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებსა და აბითურიენთებს ვტოვებთ უყურადღებოდ — ისინი ხომ ჩვენი ხვალინდელი წევრები არიან.

— კავშირი სხვადასხვა ორგანიზაციების გაერთიანებას გულისხმობს. რუსეთის ფედერაციის სტუდენტთა კავშირში რომელი ორგანიზაციები შემოდიან?

— 2019 წლის დასაწყისისათვის ჩვენი კავშირი აერთიანებს რუსეთის ფედერაციის 14 უმაღლესი სასწავლებლის ებრაელი სტუდენტების კლუბებს. ამათ შორისაა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთერთობათა მოსკოვის ინსტიტუტის, („მგიმო“) მ.ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის, რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული საფინანსო უნივერსიტეტის, რუსეთის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ებრაელი ახალგაზრდობის კლუბები. კარგა ხანია ებრაელ სტუდენთა კლუბების კავშირი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს. ვცდილობთ რუსეთის ფედერაციის რეგიონების უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებშიც ჩამოვაყალიბოთ ებრაელი სტუდენტების კლუბები, რომლებიც შემდეგ ჩვენ შემოგვიერთდებიან. ჩვენ უკვე გავხდით მსოფლიოს ებრაელ სტუდენტთა კავშირის (WUJS) წევრი, ამასწინათ ევროპის ებრაელ სტუდენტთა კავშირშიც (EUJS) შევედით.

— მაგრამ ყველაფერი ეს დაკავშირებულია დიდ ფინანსურ ძალისხმევასთან!

— დიახ, მართალს ბრძანებთ: ჩვენი პარტნიორი და სპონსორია ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი. ამ კონგრესის ლიდერები ყოველმხრივ ცდილობენ ხელი შეუწყონ ებრაელი სტუდენტების განვითარებას, ორგანიცაზიის სტრუქტურულ წინსვლას. ახლო კონტაქტები გვაქვს და ვთანამშრომლობთ რუსეთში ისრაელის საელჩოსთან, ისრაელის კულტურის ცენტრთან (ნატივი), რუსეთის ებრაული კულტურის ცენტრთან, ებრაული თემების ფედერაციასთან, სოხნუთთან, „ჰილელთან“ და სხვ. ამას გარდა, ახლო კონტაქტები გვაქვს და ვთანამშრომლობთ უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციებთან, განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდება საერთაშორისო ურთიერთობის მოსკოვის ინსტიტუტთან თანამშრომლობა.

ჩვენი კავშირის წევრები მონაწილეობენ ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციის ღონისძიებებში, რომლებიც ებრაელი ახალგაზრდობის პრობლემებს ეძღვნება.

შევიმუშავეთ და აღვასრულეთ ბევრი ისეთი პროექტი, რომელიც ეწევა ებრაელი ახალგაზრდობის კონსოლიდაციას. მაგალითად, რუსეთის უნივერსიტეტებში ებრაული დღესასაწაულების ჩატარება, შაბათის ერთად გატარება, ლექციები და შეხვედრები ებრაულ კულტურაზე, ერის ისტორიაზე, ტრადიციაზე. ჩავატარეთ შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან (დიპლომატები, რელიგიური მოღვაწეები, ბიზნესმენები, რუსეთის სათათბიროს წევრები, შოუბიზნესის წარმომადგენლები, სპორტსმენები და სხვ.) გვქონდა მთელი ციკლი გეტოებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოქცეულ ადამიანებთან შეხვედრებისა, ფურიმის დღესასწაულზე ჩავატარეთ დიდი საქველმოქმედო კონცერტი, ექსკურსიები ებრაულ მუზეუმსა და ტოლერანტობის ცენტრში, ხშირად გვაქვს დებატები აქტუალურ საკითხებზე, დაინტერესებულ ადამიანებს ჩვენთან შეუძლიათ ისწავლონ ივრითი. ეს ღონისძიებები ძირითადად უნივერსიტეტების კამპუსებში ტარდება.

ებრაელი ახალგაზრდობის კავშირი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსთან და ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესთან ერთად გახლავთ ორგანიზატორი თეატრალური კონკურსისა „ერის მეხსიერება“, ეს კონკურსი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას ეძღვნება. შარშან , 25 აპრილს კონკურსის საფინალო საღამოზე, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა, რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან ხუთი საბავშვო თეატრალური კოლექტივი ჩამოვიყვანეთ. წელს ამ კონკურსზე მონაწილეობის მსურველთა 100 განაცხადი შემოვიდა და 16 აპრილს ფინალი კვლავაც იმ საკონფერენციო დარბაზში ჩავატარეთ, რომელშიც შარშან.

— როგორია თქვენი უახლოესი გეგმა?

— უახლოესიც და უმთავრესიც გახლავთ შემდეგი: გვინდა მოსკოვისა, თუ სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში გავხსნათ ებრაელ სტუდენტთა ახალი კლუბები, ებრაელ ახალგაზრდებს აქვთ თავთავიანთი ინტერესები და მისწრაფებები. მიზნის ასრულებისათვის ბრძოლაში მათ ჩვენი მხარდაჭერაც უნდა ვაგრძნობინოთ, მიმდინარე წლიდან წამოვიწყებთ ახალ პროექტს, რაც გულისხმობს განსაკუთრებულად გამორჩეული სტუდენტებისადმი ჩვენი სტიპენდიების დანიშვნას, ებრაელ ახალგაზრდებში გავაძლიერებთ საგანმანათლებლო მუშაობას, ივრითის სწავლებას.

— დღევანდელი სტუდენტები ხვალ-ზეგ უკვე ამათუიმ დარგის ახალგაზრდა სპეციალისტები არიან, მათთან თუ გაქვთ კავშირი?

— რასაკვირველია. ჩვენს სამუშაო გეგმაში საამისოდ გვაქვს საგანგებო პუნქტი, რომელსაც ჰქვია „ბიზნესი და კარიერა.“

— რას გულისხმობს იგი?

— ახალგაზრდა სპეციალისტს ესაჭიროება კარგი სტაჟირება, პრაქტიკა. ჩვენ ვეხმარებით ამ იდეის სწორად წარმართვაში. მერე დგება შრომითი მოწყობის საკითხი. ვცდილობთ, აქაც აღმოვუჩინოთ დახმარება.

მიმდინარე წელს გავაძლიერებთ ღონისძიებებს, რომლებიც დაგვეხმარება ახალგაზრდობის პროფესიულ ზრდაში, ისინი უნდა განვითარდნენ როგორც პროფესიული თვალსაზრისით, ასევე ფიზიკურადაც. საამისოდაც გვაქვს საინტერესო გეგმები.

— ნუ დაგვზარდებით — წარმოგვიდგინეთ თქვენი კავშირის პრეზიდენტი შოთა მირილაშვილი.

— შოთა გაბრიელის-ძე მირილაშვილი დაიბადა მოსკოვში, 2015 წ. დაამთავრა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის ინსტიტუტის ბაკალავრიატი სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის განხრით, 2018 წ. დაამთავრა ამავე ინსტიტუტის მაგისტრატურა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განხრით.

ინსტიტუტში სწავლის წლებში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას — 2013 წელს გახდა ინსტიტუტის ებრაელ სტუდენტთა კავშირის — ებრაული კლუბის პრეზიდენტი. ამ კლუბში თანამოაზრეებთან ერთად ჩაატარა 100-ზე მეტი ღონისძიება.

როგორც უკვე გითხარით, 2015 წ. თანამოაზრეებთან ერთად შექმნა სრულიად რუსეთის ებრაელ სტუდენტთა კავშირი. ამ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად მონაწილეობს რამდენიმე ბიზნესპროექტში.

— ის, რასაც თქვენ აკეთებთ, ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ გვინდა წარმატება ვუსურვოთ თქვენს კავშირს!

ხაი ჟივე, უკრაინა — ტოლეანტობაც ასეთი უნდა!
ვლადიმირ ზელენსკი — უკრაინის პრეზიდენტი



უკრაინაში დამთავრდა საპრეზიდენტო არჩევნების გრძელი და მომქანცველი მარათონი. მეორე ტურში ერთობ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ებრაული წარმოშობის კომიკოსმა მსახიობმა ვლადიმირ ზელენსკიმ.

საარჩევნო მარათონის მეორე ტურის ეგზით-პოლის შედეგების გამოცხადების შემდეგ ვ. ზელენსკი ისე უსწრებდა პ. პოროშენკოს, რომ მისი გამარჯვება ეჭვსაც აღარ იწვევდა. ვ. ზელენსკიმ მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და ჟურნალისტთა არცერთ შეკითხვას არ უპასუხა.

დასავლეთ ევროპის ერთ-ერთმა გაზეთმა საპრეზიდენტო არჩევნებისადმი მიძღვნილი ინფორმაცია ასე დაასათაურა: „ებრაელი კომიკოსი“ უკრაინის პრეზიდენტია“, რამაც უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი გამოიწვია და გაზეთს მოსთხოვა უარი თქვას ასეთ დასათაურებაზე — ზელენსკი უკრაინის მოქალაქეაო. **რედაქციისაგან**: რასაკვირველია, ერთობ სასიამოვნოა, როცა ებრაელი ასეთ მარათონში გამარჯვებას აღწევს, მაგრამ ამათუიმ სახელმწიფოში ებრაელის პირველ პირად მოვლინება, ამ ერის შვილებისათვის ყოველთვის როდი მთავრდება სასიხარულო შედეგით. ყოფილა შემთხვევა, როცა ამგვარი არჩევანი დამაფიქრებელი გამხდარა და სახელმწიფოს პირველი პირის მიმართ წარმოჩენილი უკმაყოფილება, (ოპოზიციას რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფოს მეთაურებისადმი უკმაყოფილო ადამიანებს რა გამოლევს!) მისი ეროვნული კუთვნილების შვილებისათვის სავალალო გამხდარა. ერთი, იქნებ უმნიშვნელო, რიგითი, მაგრამ ანგარიშგასაწევი მაგალითი; არჩევნების წინ ვლადიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ სტეპან ბანდერა უკრაინელი ხალხის გმირიაო. ლაპარაკია იმ სტეპან ბანდერაზე, რომელიც ანტისემიტად და ნაციონალისტად გახლავთ მიჩნეული და მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელობას ხოცავდა. მისი ამგვარი განცხადება ჭეშმარიტებასთანაც სცოდავდა და იმ ებრაელების ხსოვნასთანაც, რომლებიც ბანდერამ საიქიოს გაისტუმრა.

ამასთან ერთად, ყურადსაღებია უკრაინელი ერის ტოლერანტობა: სხვა ერის შვილმა არულიად განსხვავებული კონფესიის წარმომადგენელმა მართლმადიდებელი ქვეყნის არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

დღევანდელ უკრაინაში პრეზიდენტიც ებრაელია და პრემიერ-მინისტრიც(გროისმანი). როგორ გავლენას მოახდენს ეს უკრაინის ებრაელთა ყოფაზე. როგორ შეეგუება ამას ქვეყანა, რომელშიც არაერთი „პოგრომი“ ყოფილა?

უკრაინის მთავარმა რაბინმა მოშე ასმანმა ვლადიმირ ზელენსკის გამარჯვება მიულოცა: „დღეს თქვენს ხელში აღმოჩნდა ყველა საშუალება რომ უკრაინა ამ რთული მდგომარეობიდან გამოიყვანოთ და მსოფლიოს ლიდერ ქვეყნად აქციოთ“ დაწერა მთავარმა რაბინმა ფეისბუქის თავის გვერდზე და პრეზიდენტს აღუთქვა, რომ „ებრაული თემი ყველაფერს გააკეთებს უკრაინის აყვავებისათვის.“

ვლადიმერ ზელენსკის ინაუგურაციაზე კიევში ჩავიდა საქართველოს პრეზიდენტი — ქ-ნი სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც გამარჯვება მიულოცა და უკრაინის ახალი პრეზიდენტი სქართველოში მოიწვია, სადაც ვ. ზელენსკი მშენებარე სასტუმროს ნომრებს ფლობს.

საქართველო-ისრაელის ლიტერატურული ურთიერთობის სათავეებთან
ორციონ ბართანა - 70

თვალსაჩინო ისრაელ პოეტს, მწერალს, პუბლიცისტს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, ქართველი ებრაელობისა და ერთობლივ საქართველოს ჭეშმარიტ მეგობარს ორციონ ბართანას, რომელიც თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით პროფესორ რეუვენ ენოხთან (რუბენ ენუქაშვილი) საქართველოსა და ისრაელის ლიტერატურულ ურთიერთობათა სათავეში მოექცა, დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. „მენორას“ რედაქცია გულმხურვალედ ულოცავს მას სახელოვან იუბილეს და გთავაზობთ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვას.

ორციონ ბართანამ ჩვენს ქვეყანაში პირველად 2002 წელს იმოგზაურა, მოიხიბლა მისით და მას შემდეგ უკვე 16-ჯერ ჩამოვიდა, ყოველთვის მზად არის მონაწილეობა მიიღოს აქ ჩატარებულ ლიტერატურულ შეკრებებსა, თუ სამეცნიერო კონფერენციებში. საქართველოსადმი ორციონ ბართანას დამოკიდებულებამ მის შემოქმედებით მუშაობაშიც პოვა ასახვა. მან პროფ. რეუვენ ენოხთან (რუბენ ენუქაშვილთან), ერთად ივრითზე თარგმნა საქართველოს ეროვნული პოეტის (ამ ტერმინს ჩვენში ნაკლებად იყენებენ, მაგრამ დიდად ფეხმოკიდებულია ისრაელში) გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების კრებული - 30 ლექსი, რომელიც თბილისში გამოიცა ქართული და ივრითული ტექსტებით და ისრაელში მყისვე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად. წიგნის გამომცემელმა პროფ. ამირან გომართელმა ტირაჟი გაიმეორა კიდეც, მაგრამ ისიც უმალ „გაქრა“. მოგვიანებით მთაგმნელებმა დამატებით გალაკტიონის ხუთი ლექსი თარგმნეს და გამოაქვეყნეს ისრაელში ერთ-ერთ კრებულში. მათვე (გურამ ბათიაშვილსა და მაყვალა გონაშვილთან ერთად) გამოსცეს კრებული, რომელშიც რუსთველის პრემიის ლაურეატი ქართველი პოეტების მათ მიერ ივრითზე თარგმნილი 18 ლექსი შევიდა. მათივე თარგმანით ისრაელის მწერალთა კავშირის ორგანოში „სასწორი“ დაისტამბა ლია სტურუას სამი ლექსი. ისრაელის კიდევ ერთმა სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალმა „სარკე“ ერთ-ერთი ნომრის ნაწილი ქართულ მწერლობას დაუთმო. მასში შესული პოეტური ნაწარმოებები კვლავ და კვლავ ორციონ ბართანას თარგმნილია რ. ენოხთან ერთად. მათვე თარგმნეს დათო მაღრაძის ლექსი „ლეხაიმ!“

საკუთრ0ივ ო. ბართანას ნაწარმოებები მსოფლიოს 30-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი. მისმა ერთ-ერთმა ვრცელმა მოთხრობამ „დაფარული შუქი“ შვედური თარგმანით წლის საუკეთესო ნაწარმოებისათვის დაწესებული პრიზი მიიღო. ეს მოთხრობა ქართულ ენაზეც ითარგმნა (რ. ენოხი) და მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ქუთაისში პროფესორმა და პოეტმა ომარ გვეტაძემ თარგმნა და ორჯერ გამოსცა (მეორედ - შევსებული) ო. ბართანას პოეტური კრებულები. რ. ენოხმა თარგმნა მისი გახმაურებული მეცნიერული წიგნის — „საუკუნეთა მიჯნაზე“ ვრცელი შესავალი. წიგნი მეოცე საუკუნის ისრაელის ლიტერატურულ პროცესებსა და ტენდენციებს აანალიზებს. რ. ენოხმა ქუთაისში ერთ-ერთ სალიტერატურო კრებულში დაბეჭდა ო. ბართანას სამი ლექსის თარგმანი.

შემოქმედი ქართველ ებრაელთა სამწერლობო მოღვაწეობითაც არის დაინტერესებული. მან მოზრდილი გამოკვლევა მიუძღვნა გურამ ბათიაშვილის ცნობილ ისტორიულ რომანს „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“ („ბაბილოელი კაცი“) (სამქუხაროდ, რომანი ჯერ არ არის ივრითზე გამოქვეყნებული და ო. ბართანა ე. წ. ბწკარედის დონეზე არსებულ თარგმანს დაეყრდნო). სულ რამდენიმე დღის წინ ეს გამოკვლევა დაიბეჭდა ისრაელის წამყვან საინტერნეტო ლიტერატურულ ჟურნალში.

ორციონ ბართანა დაიბადა 1949 წელს ცნობილი ისრაელი პოეტის მორდეხაი ბართანას ოჯახში (სხვათა შორის, იგი ცხოვრობს სახლში, რომელიც მორდეხაი ბართანას ქუჩაზე მდებარეობს). მან 1970 წ. წარმატებით დაამთავრა თელ-ავივის უნივერსიტეტი ფილოსოფიისა და ივრითული ლიტერატურის სპეციალობით, არის ფილოსოფიის დოქტორი. ძალიან ახალგაზრდა (1971 წ.) მიიწვიეს თელ-ავივის უნივერსიტეტის ლექტორად და მას შემდეგ სხვადასხვა დროს ასწავლიდა ისრაელის თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში, ასევე კოლეჯებში. ბოლო ოცი წლის განმავლობაში მისი ყურადღება ძირითადად არიელის უნივერსიტეტს ეთმობა, სადაც განაგებდა ებრაული კულტურული მემკვიდრეობის განყოფილებას, ჩამოაყალიბა სამაგისტრო სწავლება ამ სპეციალობით, ამჟამად ხელმძღვანელობს ივრითული ლიტერატურის კათედრას. წლების განმავლობაში იყო ისრაელის ივრითენოვან მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პენ-კლუბის ისრაელის განყოფილების ხელმძღვანელი, გამოქვეყნებული აქვს ათეულობით პოეტური და პროზაული კრებული, ორი რომანი, მრავალი კრიტიკული და მეცნიერული წიგნი და სტატია. მის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სინამდვილისა და ფანტაზიის ურთიერთმიმართების პრობლემა, მწერლობის ფილოსოფიური საფანელის საკითხი და სხვა.

ო. ბართანა დაჯილდოებულია მრავალი ეროვნული და საერთაშორისო პრემიით, მათ შორის, ვოლფის პრემიით, ბრენერის პრემიით, ისრაელის პრემიერ-მინისტრის პრემიითა და სხვა.

შემოქმედს მრავალი სამეცნიერო გეგმა აქვს, ახალ რომანსა და პოეტურ კრებულებზეც მუშაობს. ვუსურვოთ მას ყველა ამ ჩანაფიქრის განხორციელება და მრავალჟამიერი — ას ოც წლამდე!

რატომ არ შეუშვეს „გორდა“ ისრაელში?

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 15 აპრილს ისრაელში საქართველოს საკონსულოში ისრაელის საზღვრის დაცვის სამსახურიდან მივიდა შეტყობინება, რომ ისრაელში ჩაფრინდა მოცეკვავე ბავშვთა ანსამბლი „გორდა“ და მას არ ეძლევა საზღვრის გადაკვეთის უფლება. შეტყობინებაში ნათქვამია: მესაზღვრეებისათვის საეჭვოდ იქნა მიჩნეული შემდეგი გარემოება: ანსამბლი ისრაელში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიიღოს ბავშვთა ცეკვის ფესტივალში და ჩამოსულთაგან მხოლოდ ხუთია ბავშვი, დანარჩენი პირები 25 წლისა და მეტი ასაკისანი არიან. ამის გამო, ანსამბლს უარი ეთქვა ისრაელში შესვლზე“.

ირანის პრეზიდენტის მოწოდება

ირანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან: ირანის არმიის დღეს პრეზიდენტმა ხასან რუხანიმ განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობაზე პასუხს ამერიკის შეერთებული შტატები, ისრაელი და მათი მოკავშირეები აგებენ.

— თუ დღეს ჩვენ ამ რეგიონში გვაქვს რაიმე პრობლემა ამის მიზეზი ან ამერიკის შეერთებული შტატების ქედმაღლობაა, ან სიონისტები. ამ რეგიონში ქვეყნები გვერდიგვერდ მეგობრულად ცხოვრობდნენ და არა-რა პრობლემა არ ჰქონდათ.

— დიდ სახელმწიფოებს, კონკრეტულად შეერთებული შტატებს და სიონისტებს ახლო აღმოსავლეთში არ სურთ სტაბილურობა, ერთობა, უსაფრთხოება, ძმობა..

რუხანიმ ირანის მეზობელ სახელმწიფოებს მოუწოდა გაერთიანდნენ, რათა ამ რეგიონიდან მოვიშოროთ აგრესორი.

ევრ-აზიის ებრაელთა

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი თბილისში

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის ხელმძღვენელობას რამდენიმედღიანი მოგზაურობა ჰქონდა კონგრესის წევრი ქვეყნების ებრაელობაში, სადაც ისინი შეხვდნენ სახელმწიფოა ლიდერებს, ებრაული თემის წარმომადგენლებს. კონგრესის ხელმძღვანელები იყვნენ ალმა-ათაში, ევრ-აზიის კონგრესის ხელმძღვანელობა, მისი პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის მეთაურობით, აქ შეხვდა ყაზახეთის პრეზიდენტ ყასიმ ჟომარტ ტოკაევს. შეხვედრაზე მხარეებმა აღნიშნეს, რომ ყაზახეთის ებრაული თემი გრძნობს სახელმწიფო ინსტიტუტების დიდ მხარდაჭერას. მიხ. მირილაშვილმა ყაზახეთის პრეზიდენტს შესთავაზა განიხილოს საერთაშორისო ორგანიზაციებში ისრაელისადმი მტკიცე მხარდაჭერის საკითხი.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის დელეგაცია შეხვდა აგრეთვე ყაზახეთის მთავრობის მეთაურს ასკარ მამინის, რომელმაც გამოხატა კმაყოფილება იმის გამო, რომ მალე ისრაელის მთავრობის მეთაურის მიწვევით ისრაელს მიემგზავრება.

ბაქოში, კონგრესის ხელმძღვანელობა შეხვდა აზერბეიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს. როგორც აზერბეიჯანის საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა ილჰამ ალიევთან საუბრისას ხაზი გაუსვა ორი სახელმწიფოს — ისრაელისა და აზერბეიჯანის მეგობრულ და საქმიან ურთიერთობას. აზერბეიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ისაუბრა აზერბეიჯანელ და ებრაელ ერებს შორის ტრადიციულ, ერთობ თბილ ურთიერთობაზე. ეს ორი ერი საუკუნეების განმავლობაში მეგობრულად ცხოვრობს, ხოლო მეორე მსოფლიო ომის წლებში აზერბეიჯანში სსრ კავშირის ჩრდილოეთის რეგიონებიდან ბევრმა ლტოლვილმა — ებრაელმა, ისევე, როგორც რუსმა, უკრაინელმა, თუ სხვამ აზერბეიჯანს არა მხოლოდ შეაფარა თავი, არამედ აქ მეორე სამშობლო ჰპოვა — ჩვენთან ცხოვრება ირჩიეს და ახლა მათი შთამომავლები აქ აგრძელებენო ცხოვრებას.

თავის მხრივ მიხეილ მირილაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ტენდენციას, რომ ისრაელელები და დიასპორაში მცხოვრები ებრაელები მზად არიან აზერბეიჯანელებთან ერთად დაამუშაონ ერთობლივი, ბიზნესპროექტები. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და მედიცინის სფეროში. მხარეებმა ისაუბრეს ისრაელში აზერბეიჯანის საელჩოს გახსნის თაობაზე.

რუსეთის მთავარმა რაბინმა, დსთ ქვეყნების რაბინთა საბჭოს თავმჯდომარემ ბერლ ლაზარმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დღეს აზერბაიჯანის ებრაელობას გაფურჩქვნის ხანა უდგას. გაიხსენა, თუ რაოდენ კარგად მუშაობს ებრაული სკოლა, რომ უკვე მოქმედებს მიკვე.

დელეგაცია ეწვია ებრაულ სკოლას, სადაც შეხვდა ქ.ბაქოს ებრაული თემის წარმომადგენლებს.

1. საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრთან

1მაისს ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის დელეგაცია მიხეილ მირილაშვილის მეთაურობით თბილისს ჩამოვიდა. დელეგაციაში შედიოდნენ: კონგრესის გამგეობის თავმჯდომარე არონ ფრენკელი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი თემურ ხიხინაშვილი (ბენ იუდა), გენერალური დირექტორი ხაიმ ბენ იაკობი, რუსეთის ფედერაციის მთავარი რაბინი ბერლ ლაზარი, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ზინგერი.

თბილისში ჩამოსული დელეგაცია შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს და პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს. სახელმწიფოს ლიდერებთან საუბრებისას მიხეილ მირილაშვილმა ხაზი გაუსვა იმ პოზიტიურ შედეგს, რაც თან ახლავს საქართველოში ებრაელთა 26 საუკუნოვან მშვიდობიან თანაცხოვრებას და რაოდენ სასიამოვნოდ აისახება ეს საკითხი საქართველოსადმი მსოფლიო ებრაელობის დამოკიდებულებაზე. აქედან გამომდინარე, მან წინ წამოსწია ქართული ტოლერანტობის პროპაგანდის საკითხი. ამასთან ერთად ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა დასვა ებრაელთა სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ საქართველოს ხელისუფლება გაითვალ-

ისწინებდა ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივას და ისრაელში საქართველოს საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანდა. როგორც ცნობილია, ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ, მათს შორის ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ, მსგავსად აშშ-სი, საელჩოს იერუსალიმში გადატანა დააანონსა.

2. ჭოჭმანის თაობაზე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერი სახელმწიფო თავად ირჩევს, თუ რომელი ქალაქი უნდა იყოს მისი ე. წ. სატახტო ქალაქი. იერუსალიმი ებრაელთა დედაქალაქი მას შემდეგ გახლავთ, რაც დიდმა დავით მეფემ ისრაელი გააერთიანა და სატახტო ქალაქად იერუსალიმი აქცია. ეს არც მეტი, არც ნაკლები, 30 საუკუნის წინათ იყო, ხოლო ევროპიელთაგან წართმეული სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან რამდენიმე თვეში დავით ბენ გურიონმა იერუსალიმი ამჯერად ახალი ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა.

ახალი, დემოკრატიული საქართველოსათვის აშშ აზრი, მითუმეტეს ინიციატივა ყოველთვის მისასალმებელი და გასათვალისწინებელი გახლდათ, მაშინაც კი, როცა ეს ინიციატივა ისრაელის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა: გაეროში რომ პალესტინის ავტონომიის იურისდიქციის გაფართოების საკითხი დაისვა, საქართველომ აშშ-ს დარად, პალესტინის სასარგებლოდ — ისრაელის სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ მისცა ხმა. ამჯერად კი აშშ სურვილსაც არ გაეწია ანგარიში და მეზობელი მუსლიმური სახელმწიფოებისადმი ანგარიშის გაწევითს გამოისობით (ევროკავშირი, ირანი, თურქეთი), კვლავ პალესტინის სასარგებლოდ ირჯება. გასულ წელს, როცა დონალდ ტრამპმა ეს საკითხი დასვა და აშშ საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანა დაანონსა, საქართველოს პარლამენტის წევრმა შოთა შალელაშვილმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა გაეთვალისწინებინა აშშ ინიციატივა. ამ მოსაზრების გამოთქმის გამო პარლამენტის წევრმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გულისწყრომა დაიმსახურა. მალე გამწყრალი გ. კვირიკაშვილი გადააყენეს და მწერალმა, დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა ახალ პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს მიმართა ანალოგიური თხოვნით. დუმილი.

და აი, 1 მაისს ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა მსოფლიოში აღიარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის პრეზიდენტის მაღალი ტრიბუნიდან ეს საკითხი კვლავ წამოსჭრა საქართველოს ხელისუფალთა წინაშე. ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს კოსტრუქციული თანამშრომლობისაკენ მოწოდება. ჩვენის მხრიდან კი უსათუოდ უნდა დავსძინოთ: უცნაურია, როცა ებრაელთა სახელმწიფოს დედაქალაქად იერუსალიმის ცნობაზე ასე ჭოჭმანობს დიდი ისტორიის მქონე ივერთ ქვეყანა — მას ხომ ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა იერუსალიმთან ურთირთობა, როცა ევროპის ზოგი სახელმწიფო, ვისაც დღეს საქართველო ანგარიშს უწევს, არც არსებობდა.

საქართველოს პრეზიდენტ ქ-ნ სალომე ზურაბიშვილთან და პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა ორ სახელმწიფოს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაზე,

კონგრესის თავმჯდომარე არონ ფრენკელი:

— ძლიერ მოხარულნი ვართ საქართველოსა და ისრაელს შორის ტურიზმის და ვაჭრობის მასშტაბების ზრდით. შესაძლოა, ეს ურთიერთობა ბევრი რეგიონისათვის მაგალითის მიმცემი გამოდგეს.

რობერტ ზინგერმა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მეოხებით საქართველოს ინტერესების საერთაშორისო ორგანიზაციებში ლობირებაზე ისაუბრა.

3. ლეხაიმ, მიხო!

1 მაისი მიხეილ (მიხო) მირილაშვილის დაბადების დღე გახლავთ. მ. მირილაშვილი საქართველოში ბევრ საქველმოქმედო პროექტს აფინანსებს.

კონგრესი საქართველოში

საქართველოს ებრაელობის დიდმა ნაწილმა არც იცის, თუ რაოდენი წვლილი შეაქვს მას ხელმოკლე ქართველი ებრაელობის ცხოვრებაში, ამის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ ამ საკითხზე საუბარს თავადვე მიიჩნევს მიზანშეუწონლად. დედაქალაქის ებრაელობისათვის სასიამოვნო გახლდათ ის, რომ პრეზიდენტმა თავისი დაბადების დღე სწორედ თბილისში აღნიშნა — იმ საღამოს მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკში — ფუნიკულიორზე საქართველოს ებრაელობის ერთი ნაწილი შეიკრიბა. ისინი გულითადად ამბობდნენ: ლეხაიმ მიხო!

გულითადად, რადგან სიხარულს გვრიდათ ის, რომ ქართველი ებრაელი კაცი ასეთ სოლიდურ საერთაშორისო ორგანიზაციას უდგას სათავეში და სახელოვნად ხელმძღვანელობს მას.

4. სკოლის აშენებელი მომავალს აშენებს

ეს თეზა ჯერ კიდევ ახალი ერის პირველ საუკუნეში დადასტურდა, მაშინ როცა იერუსალიმი რომაელების მიერ კარგა ხნის განმავლობაში ალყაშემორტყმული გახლდათ — რომაელი ლეგიონერები ცდილობდნენ შიმშილით, უწყლობით დაეუძლურებინათ მტერთან დაუღლელად მებრძოლი ზელოტები — იერუსალიმის დამცველი იუდეველები. ამ დროში მოღვაწეობდა ბრძენთა-ბრძენი, გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე იოხანან ბენ ზაქაი — პიროვნება, რომელმაც უზარმაზარი როლი შეასრულა ებრაელი ერის ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ იგი დიდი სასულიერო მოღვაწე, თორის დიდმცოდნე გახლდათ, რაში გამოიხატა მისი დამსახურება ებრაელთა ყოველი თაობის წინაშე?

შორსმჭვრეტელი კაცი იყო იოხანან ბენ ზაქაი — ხედავდა, რაოდენი თავგანწირვით იბრძოდნენ იუდეველნი მტრის წინააღმდეგ, ზელოტებმა იმისათვის, რომ იუდეველთა ერთიანობა შეენარჩუნებინათ, ქალაქი ჩაკეტეს, არა მარტო ვერავინ შედიოდა იერუსალიმში, ვერც ვერავინ გადიოდა. მიცვალებულს ქალაქის კარიბჭემდე მიაცილებდნენ, მერე ერთი კაცი შემოიდებდა მხრებზე, ის ერთი კაცი გაიტანდა ქალაქიდან, გაუთხრიდა საფლავს და უკან ბრუნდებოდა. ამას იმიტომ აკეთებდნენ რომ ყველას ერთად ებრძოლა მტრის წინააღმდეგ. იბრძოდნენ, მაგრამ...

იმასაც სჭვრეტდა, იოხანან ბენ ზაქაი, რომ იუდეველნი რომაელთა ალყას დიდხანს ვერ გაუძლებდნენ.

ერთ დღეს იერუსალიმს აუწყეს დიდი იოხანან ბენ ზაქაი გარდაიცვალაო. მისსავე ძმისშვილმა — ზელოტთა რაზმის მეთაურმა — „გაიტანა მიცვალებული“ ქალაქიდან, სასაფლაოს რომ მიაღწია, დიდი რაბი ფეხზე დადგა და იქით გასწია, სადაც რომაელთა სარდალს — ვესპასიანეს დაეცა ბანაკი. იოხანან ბენ ზაქაიმ სარდალს არა მხოლოდ იერუსალიმის მალე აღება, რომის იმპერატორად გახდომაც კი უწინასწარმეტყველა და სთხოვა იავნეში ერთი პატარა სკოლის შექმნის უფლება მომეცი — მინდა ჩვენმა ბავშვებმა წერა-კითხვა ისწავლონო. სარდალი დაეთანხმა. იოხანან ბენ ზაქაიმ შექმნა სკოლა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ისრაელის აღორძინების საქმეში — სწორედ ამ სკოლის აღზრდილები გახდნენ ახალი ისრაელის მშენებლები.

რასაკვირველია, ანალოგია ერთობ შორეულია, დღეს სულ სხვა რეალობაა, მაგრამ სკოლის სწავლების არსი სრულიად უცვლელია: ის, ვინც სოფელსა, თუ ქალაქში სკოლას აშენებს, მომავალზე ზრუნავს, მიხო მირილაშვილის დიდი ზრუნვა ქართველი ებრაელობის მომავალზე მომდევნო დღესვე გაცხადდა: დელეგაციის წევრები, თბილისის (და არა მხოლოდ თბილისის!) ჯამაათის წევრები კრწანისში ებრაული სკოლის გახსნაზე შეიკრიბნენ.

ერთობ სასიამოვნო, შინაგანი შვების მომგვრელი გახლდათ ის, რომ სკოლის გახსნის ცერემონიაზე მისულთ ნაცნობი ღიმილი ეგებებოდათ — სკოლაზე გადმოფენილი დიდი ტრანსპარანტიდან შეკრებილთ საქართველოს ებრაელთა კონგრესის ერთადერთი ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტი მოშე (მიხეილ) მირილაშვილი გადმოჰყურებდათ ეს ბუნებრივიც გახლდათ — თბილისის ებრაული სკოლა მოშე მირილაშვილის სახელობისაა.

მიხეილ მირილაშვილი სიყმაწვილის ხანიდან — უკვე ოთხი ათეული წელია საქართველოში აღარ ცხოვრობს, მაგრამ მაინც ამ ქვეყნის ებრაელობის წიაღში იგულვებს თავს. სწორედ მისგან — საქართველოს ებრაელობის წიაღიდან ამოიკვეთება ფიგურა ლიდერისა, რომელიც ზრუნავს თავისი ერის შვილებზე.

სკოლის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე პირველ სიტყვას ამბობს „ხაბადის“ წარმომადგენელი საქართველოში, თბილისის ებრაული სკოლის ხელმძღვანელი, მეირ კოზლოვსკი, რომელიც დიდ ენერგიას ახმარს ამ სკოლის ექსპლოატაციაში შესვლას.

თბილისის მიხეილ მირილაშვილის სახ. სკოლის გახსნასთან დაკავშირებით ქართველ რაბინთა საერთაშორისო საბჭოს ეგიდით საქართველოში ჩამოვიდა რამდენიმე ქართველი ებრაელი სასულიერო მოღვაწე — რაბინთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობასი გახლდნენ: იაკობ გაგულა(გაგულაშვილი), აბრამ აჯიაშვილი იცხაკ მოძღვრიშვილი,არონ ელაშვილი, შაბთაი მიხელაშვილი, ბენციონ მიხელაშვილი, რაბინთა საბჭოს გენერალური დირექტორი

იოსებ ხერსონსკი. ერთობ ემოციური, შთამაგონებელი და გააზრებული სიტყვა წარმოსთქვა იაკობ გაგულამ — მსოფლიოს ქართველი ებრაელობის მთავარმა რაბინმა, თავის გამოსვლაში მან დაადასტურა ქართველი ებრაელობის სწრაფვა ეროვნულ-რელიგიური ფასეულობების დაცვისაკენ, რითაც ეს თემი მსოფლიოსებრაელობის თანავარსკვლავედში ღირსეულ ადგილსიჭერს. შემდეგ იყო კირიათ ათას რაბინი აბრამ აჯიაშვილი, რუსეთის მთავარი რაბინი ბერლ ლაზარი, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პირველი ვიცე პრეზიდენტი თემურ ხიხინაშვილი (ბენ იუდა), ცხადია, თავად მიხ. მირილაშვილი.

რა იყო გამომსვლელთა მთავარი სათქმელი, რას გამოხატავდნენ ისინი? ცხადია, სიხარულსა და აღფრთოვანებას იმის გამო, რომ იხსნება კიდევ ერთი კერა განათლებისა, რომელიც ახალგაზრდობას ცხოვრების გზაზე სვლას გაუადვილებს, დიდი მადლიერება საქართველოს ხელისუფლების მიმართ იმის გამო, რომ მან სკოლის ასაშენებლად გამოჰყო მიწის ნაკვეთი, საზეიმო ცერემონიალზე არაერთხელ გაისმა ქველმოქმედისა და ფილანთროფის — ბიძინა ივანიშვილის სახელი სწორედ მადლიერების კონტექსტში.

მაგრამ მთავარი მაინც ისინი გახლდნენ, ვისთვისაც სკოლის ახალი შენობა იხსნება — ბავშვები. ისინი მღეროდნენ, ცეკვავდნენ და მადლობას უხდიდნენ ყველას, ვინც ამ სკოლას ჩუქნის მათ.

ქნესეთის დეპუტატთა ხელფასის თაობაზე

ახლადჩამოყალიბებული ისრაელის სახელმწიფოს პირველი მოწვევის ქნესეთში პირველი სხდომა ზუსტად 70 წლის წინათ გაიმართა. ეს სხდომა ერთობ საჭირბოროტო საკითხის განხილვას მიეძღვნა: რამდენი უნდა იყოს ქნესეთის წევრის — დეპუტატის ხელფასი? სწორედ ამგვარი ფორმულირებით დასვა საკითხი ისრაელის პარლამენტის პირველმა თავმჯდომარემ იოსებ შპრინცაკმა, რომელიც ისტორიულ სამშობლოში მოსკოვიდან გახლდათ ჩასული. მაშინ ქნესეთს თავისი შენობა არ გააჩნდა და სხდომას ხან სად მართავდა და ხანაც — სად. ამჯერად, პირველ სხდომაზე ხალხის მსახურნი თელ-ავივში ზღვისპირას კინოთეატრ „კესემში“ შეკრებილიყვნენ.

— დღეს ჩვენ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ განვიხილოთ და გადავწყვიტოთ ერთი საკითხი — დაიწყო იოსებ შპრინცაკმა — თუ რა დაუჯდება ისრაელელ გადასახადის გადამხდელს ამ ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრება.

როგორც ვხედავთ, ქნესეთის პირველმა თავმჯდომარემ პირველსავე სხდომაზე, ერთმანეთს დაუკავშირა სამი უმნიშვნელოვანესი საკითხი: დემოკრატია, საპარლამენტო მუშაობა და გადასახადის გადამხდელები. ფაქტია: იმ დროს ჯერ კიდევ ფიქრობდნენ იმაზე, თუ რას იტყოდნენ, დეპუტატთა ნაბიჯებს როგორ შეაფასებდნენ გადასახადის გადამხდელნი.

ამ საკითხზე კარგა ხანს მსჯელობდნენ. გადაწყდა: დეპუტატის თვიური ხელფასი განისაზღვროს 110 ლირით. დამატება გამოეყოთ უკვე დაოჯახებულ და თელ-ავივის გარეთ მცხოვრებ დეპუტატებს, რათა სხდომების დღეებში სასტუმროს ქირა იხადონ.

ისიც გადაწყდა, რომ დეპუტატის თვიური ხელფასი თავისი დანამატებით, არ უნდა აჭარბებდეს 140 ლირას. შედარებისათვის: ამ დროს შავი მუშის ხელფასი 70 ლირა გახლდათ, ხოლო მშენებლობაზე დასაქმებული კვალიფიციური მუშა 95 ლირას იღებდა. განსხვავებით თავიანთი შთამომავლების — დღევანდელი დეპუტატებისაგან, მაშინდელ პარლამენტში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოითხოვდნენ ჩვენი ხელფასი კვალიფიცირებული მუშის ხელფასს არ უნდა აღემატებოდესო, მაგრამ მათი წინადადება არ გავიდა.

დღეს როგორი მდგომარეობაა?

თუ საკითხს ისტორიულ პერსპექტივაში განვიხილავთ, ცხადი ხდება: „ხალხის მსახურნი“ ბატონებად გვექცნენ. ესენი უწინარესად, თავთავიანთ კეთილდღეობაზე ფიქრობენ და მიუხედავად იმისა, თუ როგორი ეკონომიკური მდგომარეობაა ქვეყანაში, როგორია უმუშევრობის, ინფილაციის დონე, ხელფასებს იმატებენ.

დღეს ისრაელის ქნესეთის წევრის ხელფასი 44 ათას შეკელს გადასცდა. ეს ხელფასი ოთხჯერ აღემატება საშუალო ხელფასის დონეს.

ამ ოთხი წლის წინათ ქნესეთის საინფორმაციო კვლევითი განყოფილების მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ისრაელელ დეპუტატებს საშუალო თვიურ ხელფასთან მიმართებაში უფრო დიდი ხელფასი აქვთ, ვიდრე ისეთი ქვეყნების დეპუტატებს, როგორიც გახლავთ აშშ, გერმანია, საფრანგეთი, კანადა, ბელგია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, ესპანეთი და ავსტრალია.

ხოლო რაც შეეხება მუშის საშუალო ხელფასისა და დეპუტატის ხელფასს შორის განსხვავებას, ძალიან გაიზარდა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ დეპუტატებს ძალუძთ დასვან თავიანთი ხელფასის მომატების საკითხი და კენჭიც თავადვე უყარონ, მუშებს კი ეს არ შეუძლიათ.

ამიტომაც ისრაელში თანდათან ეცემა დეპუტატებისადმი ნდობის მაჩვენებელი.

პოლონეთის ებრაელთა დღეები საქართველოში

თბილისის სამეფო უბნის თეატრის მაყურებელთა პატარა დარბაზში მაყურებელიც ცოტა ეტევა, მაგრამ ყოველი მათგანი, ელოდება მსახიობის გამოსვლას. და აი, ისიც: სცენაზე გამოდის უბრალო, შავ კაბაში მორთული ცნობილი პოლონელი მომღერალი ქალი ნინა შტილერი. საქართველოს დედაქალაქში სწორედ იმ დარბაზში, რომელშიც ადრე სინაგოგა გახლდათ განთავსებული, ნინა შტილერმა პირველად წარმოადგინა პროგრამა „ჟიდყსზე ერტ“ — „იდიშის მარგალიტები“. ეს გახლავთ პოლონეთის ებრაელობის ტრადიციული სიმღერების სრულიად ახალი ინტერპრეტაცია.

პოლონეთში ებრაელობა მე-11 საუკუნიდან ჩანს. მათი რაოდენობა სისტემატურად იზრდებოდა — ევროპის სხვა ქვეყნებიდან გამოძევებული ებრაელები პოლონეთში იყრიდნენ თავს. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა უნიკალური კულტურა — სიმღერები, ცეკვები, ჩამოყალიბდა ენა — იდიში — გერმანული, სლავური და სემიტური ლექსიკის ნაზავი. შუა საუკუნეებში პოლონეთს „ებრაელთა სამოთხედ“ მიიჩნევდნენ.

ნინა შტილერი პოლონელი ებრაელების ტრადიციული სიმღერების საშუალებით მაყურებელს უამბობს თავისი ქვეყნის ებრაული თემის თაობაზე. კომპოზიციაში გაერთიანებულია როგორც მხიარული, ასევე გულისგამგმირავი — ტრაგიკული ამბები ჰოლოკოსტსა და მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელთა ცხოვრებაზე — ამ წლებში გერმანელმა ფაშისტებმა ხომ მთელი თემი გაანადგურეს.

ნინა შტილერი სცენაზე იყენებს ებრაული ცეკვების ელემენტებსა და ებრაელობისათვის დამახასიათებელ ატრიბუტიკას — მაგალითად, მოირგებს თავსაფარს, ან დაიხურავს მამაკაცის ქუდს — ესენი ხომ იმ ეპოქის ებრაელობის გარდერობის განუყრელი ნაწილი გახლდათ. მომღერალი ცდილობს მაქსიმალურად გადმოგვცეს კომპოზიციის განწყობილება, რათა იმ ადამიანებმაც კი კარგად იგრძნონ ერის ტრაგიზმი, რომლებსაც იდიში არ გაეგებათ.

ნინა შტილერმა თავისი გამოსვლა სიცოცხლის სიყვარულით აღვსილი ებრაული სიმღერით „ჰავა ნაგილა“ დაამთავრა და დარბაზი, რომელიც აქამდე სულგანაბული ისმენდა მის სიმღერებს, „ჰავა ნაგილას“ მელოდიას თავადაც აჰყვა.

— ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარებისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს გააცნო პოლონელი ებრაელების კულტურა — პოლონეთსა და საქართველოში ისტორიულად სახლობდნენ ებრაელები, რომლებსაც თავთავიანთი კულტურა აქვთ — ამბობს ნინა შტილერი.

კონცერტს ესწრებოდა პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკევიჩი, რომელმაც განაცხადა:

— ვფიქრობ, ბევრი ქართველი ებრაელისათვის საინტერესო იქნება გაეცნოს სხვა ქვეყნის ებრაული თემის ისტორიას, ჩვენ ისიც გვწადია, გაჩვენოთ, რომ ებრაელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის განუყრელი ნაწილია.

ნინა შტილერის კონცერტით გაიხსნა საქართველოში პოლონეთის ებრაელობის კულტურის დღეები: 15 მაისს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ებრაელთა ისტორიის დირექტორის პავლე სპივაკის ლექცია, 16 და 18 მაისს კინოთეატრ „ამირანში“ ნაჩვენები იქნა იდიშური ფილმები, ხოლო 19 მაისს მიხ. თუმანიშვილის სახ. თეატრში ჩატარდა „ტანგოს საღამო“ — აქ გაიჟღერეს. პოლონეთის ებრაელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებმა.

თუ ისრაელს ატომურ ბომბს დაუშენენ, მე არ მეწყინება

პალესტინელი ჟურნალისტი — დოქტორი ნასერ ალ-ლახამი აცხადებს:

— ამ ბოლო ხანს ისრაელი ისე გათავხედდა, არ გამიკვირდება, თუ ამ ქვეყანაში რომელიმე გაბოროტებული ადამიანი ბირთვულ ბომბს ჩამოაგდებს — თქვა ეს დოქტორმა კაცმა და დასძინა — მე იმ დღეს დავჯდები და დავწერ სტატიას „ფეხებზედაც მკიდია!“

ამ ფრიად „კეთილშობილმა და ზნეობრიობით“ აღვსილმა კაცმა ასეთი განცხადება პალესტინის ტელევიზიაში გამოსვლისას გააკეთა.

ეს განცხადება ერთგვარი გაგრძელებაა იმისა, რაც 2016 წ. პალესტინელმა ქადაგმა „ალ აქსას“ მეჩეთში მუსლიმურ სახელმწიფოებს მოუწოდა ისრაელის წინააღმდეგ ბირთველი იარაღი გამოიყენეთ და ერთი ან ორი დარტყმით მოსპეთ ებრაელთა სახელმწიფოო.

გოლანის სიმაღლის გამო

1944 წლიდან სირიის იურისდიქციის ქვეშ მოქცეულ გოლანის სიმაღლეებს, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაღლეა და ისრაელის ტერიტორიის დიდ ნაწილს აკონტროლებს, 1967 წლის ომის შემდეგ ისრაელი დაეპატრონა.

1981 წ. ქნესეთმა მიიღო „კანონი გოლანის სიმაღლის თაობაზე“, რომლითაც გოლანის სიმაღლე ისრაელის ტერიტორიად გამოცხადდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ეს აქტი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსიად მიიჩნია.

წელს, მარტის მეორე ნახევარში კი აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც აღიარა ისრაელის იურისდიქცია გოლანის სამაღლეებზე.

დ. ტრამპის ამ გადაწყვეტილებას რიგი სახელმწიფოების ლიდერები უარყოფითად შეხვდნენ: ტრამპის მოსაზრება არ გაიზიარა და გოლანი კვლავ ისრაელის მიერ მიტაცებულ ტერიტორიად გამოაცხადა, გაერომ, ევროკავშირმა. დიდი ბრიტანეთი გოლანს კვლავაც ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად მიიჩნევს, ამავე პოზიციაზეა რუსეთი, ხოლი საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა თქვა:

— გოლანის სიმაღლეებზე ისრაელის სუვერენიტეტის აღიარება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და დაძაბულობას ახლო აღმოსავლეთში კიდევ უფრო ზრდის.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

ბ ე შ ა რ ა

შიმონ ნიწუაშვილი

კვირის თავში „ბეჰარ“ თორა გვასწავლის მიწასთან დაკავშირებულ წესებს.

ჰაშემი მოშე რაბეინუს ეუბნება, რომ ისრაელის შვილებმა დაიცვან „შმიტა“ ანუ ექვსი წელი დაამუშავონ მიწა და მოიყვანონ მოსავალი, ხოლო მეშვიდე წელს მიწა დაასვენონ — არც დათესონ და არც დაამუშაონ, რადგან არის მიწის დასვენების წელიწადი. ჩვენი რაბები ასეთ კითხვას სვამენ: ნუთუ, მიწას დასვენება სჭირდება? დასვენება ხომ იმას სჭირდება, ვინც ცოცხალია და იღლება, მაგალითად, როგორც ადამიანს ან საქონელს, რომელსაც სიცოცხლის სული აქვს, მაგრამ რა კავშირშია დასვენება მიწასთან?

ამაზე ჩვენი რაბები რამდენიმე პასუხს იძლევიან, პირველ რიგში სინამდვილეში მიწასაც იგივენაერად სჭირდება დასვენება, როგორც ადამიანს, როდესაც იღლება. ამიტომ წერია თორაში: ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა დაიცვას ადამიანმა შაბათი, არის ის, რომ შემდეგი მთელი კვირა უფრო ჯანსაღი და მეტის მომცემი იყოს, როდესაც ადამიანი დასვენებული იქნება, მომავალ კვირაში მეტის მიღწევას შეძლებს. ასევეა მიწასთან დაკავშირებითაც — მიწას ყოველ მეშვიდე წელს დასვენება იმისათვის სჭირდება, რომ შემდეგი ექვსი წელი მისი მოსავალი იყოს ნოყიერი და ჯანსაღი.

მეორე მიზეზი თუ რატომ უნდა დაასვენოს ისრაელის შვილმა მიწა, არ არის მიწისთვის. მეშვიდე დასვენების წელი არის ადამიანისთვის. რაბები მიდრაშში გვასწავლიან, რომ გამჩენი ადამიანს აძლევს მეექვსე წელს სამჯერ უფრო მეტ მოსავალს იმისათვის, რომ ადამიანმა ჭამოს მეექვსე, მეშვიდე და მერვე წელს ეს მოსავალი იმისათვის, რომ შეძლოს და დაიცვას ადამიანმა თორის წესები, მაგრამ ადამანი ხშირად არ აღიარებს, რომ სამჯერ მეტი მოსავალი მისცა გამჩენმა იმისათვის, რომ მეშვიდე წელს დაასვენოს მიწა, მიიჩნევს,, რომ მისმა მოსავალმა უბრალოდ განსაკუთრებით სხვა წლებისგან შედარებით მეტი მოსავალი მოისხა და იმის ნაცვლად, რომ მიწა მეშვიდე წელს დაასვენოს, განაგრძობს მიწის დამუშავებას — სწადია უფრო მეტი მოსავალი მიიღოს, მაგრამ ზუსტად ამ მომენტში ჩნდება ხოლმე ადამიანი რომ, ამ სამჯერ უფრო მეტ მოსავალზე გამჩენის არსებობას არ აღიარებს. გამჩენი იმიტომ აძლევს მას რომ, არამარტო სიტყვიერად აღიაროს გამჩენი, არამედ მოქმედებითაც. ადამიანი გარეთ რომ, გავიდეს და ჰკითხოს ხალხს არსებობს თუ არა გამჩენი? უმეტესობა რა თქმა უნდა, იტყვის რომ, კი, არსებობს — მათ სიტყვით სწამთ გამჩენის არსებობა, მაგრამ ამ კვირის თავი გვასწავლის რომ, ადამიანს არ უნდა სწამდეს გამჩენი მხოლოდ სიტყვით, არამედ მოქმედებითაც. გვიგზავნის გამჩენი ცხოვრებაში ბევრ მომენტს სადაც გვცდის რამდენად გვწამს გამჩენი მოქმედებითაც, ადამიანს შეიძლება სწამდეს გამჩენის, მაგრამ მის კანონებს და მიცვებს არ ასრულებდეს, შეგვიძლია თუ არა ასეთ ადამიანზე ვთქვათ, რომ მას სწამს გამჩენის? ნაწილობრივ კი, რადგან მას სჯერა, რომ არსებობს გამჩენი, მაგრამ თორა გვასწავლის, რომ გამჩენის რწმენა და ნამდვილი ებრაელი ადამიანი ის არის, ვისაც სწამს გამჩენის და ამ რწმენით ასრულებს თორის ყველა კანონს, ადათ-წესებს. ადამიანს შეიძლება სწამდეს გამჩენის, მაგრამ შაბათს არ იცავდეს? გამჩენმა დაგვიფაროს და შეიძლება ასეთ ადამიანზე ითქვას, რომ, გამჩენის სწამს? შეგვიძლია ვთქვათ რომ, კი სწამს, მაგრამ თორა გვასწავლის: სინამდვილეში გამჩენის რწმენა არის, როცა ებრაელი ადამიანი იცავს გამჩენის მიცვებს და წესებს. ამაში გამოიხატება ადამიანის რწმენა და არა უბრალოდ არსებობის აღიარებაში. ამიტომ გვასწავლის კვირის თავი: როდესაც გამჩენი გვაძლევს დამატებით მოსავალს თუ სხვა მხრიდან დანამატებ შემოსავალს, იმიტომ გვაძლევს რომ დავიცვათ მიცვები — მის წესებს მივყვეთ და ამის საშუალებას გვაძლევს ყველგან და ყოველთვის.

გამჩენი დაგვეხმაროს — შეგვაძლებინოს და მოგვცეს საშუალება ყველა წესის და მიცვის შენახვა-დაცვისა და მოგვიბრძანოს მაშიახი ჩვენს დღეებში ა-მენ ვეა-მენ!

შაბათ შალომ უმევორახ!

<u>ჟურნალისტის არქივიდან</u>

რატომ აკლია სპექტრს „სომეხი ებრაელი“?

ნებისმიერ რეგიონში ებრაელთა დამკვიდრების თარიღი იმავდროულად ისტორიული სამშობლოდან მათი აყრის მაჩვენებელიც არის. ეს უკანასკნელი თავისთავად, ტრაგიკული ფაქტია. ტრაგიკული ფაქტების დეფიციტს კი ამ ბიბლიური ერის ისტორია ნამდვილად არ განიცდის. სამშობლოდან ოტებული, ტანჯული ერის გადმოხვეწის შესახებ ლეონტი მროველისეული „ქართლის ცხოვრების“ ცნობა მხოლოდ ერთი ფრაგმენტია ათასწლეულთა ვრცელ ჩამონათვალში, დედამიწის ზურგზე ამ უნიკალური უძველესი ერის მიმოფანტვას რომ აღნუსხავს.

იმ დროს, როცა ებრაელები მცხეთასა და მის რეგიონში დასახლდნენ, პარალელურად მცირე აზიის მიწებზეც (პონტო, ბითვინია, გალატია, კაპადოკია) ყოფილან გაბნეულნი. ამის თაობაზე მე-4 საუკუნის საეკლესიო ისტორიკოსის, ევსები კესარიელის, წყარო გვაუწყებს: „პეტრე [მოციქული] უქადაგებდა [„კეკერიხენაი“] პონტოში, გალატიასა და ბითვინიაში, კაპადოკიასა და აზიაში გაფანტულ იუდეებს [„ეკ დიასპორას იუდაიოს ეოიკენ“]. 720 თუ 722 წელს, ანუ ნაბუქოდონოსორამდეც (586წ.), მოხდა ებრაელთა მასობრივი დატყვევება და განთესვა, ოღონდ სამარიასა და ისრაელში და არა იერუსალიმსა და იუდეაში. საქმე ის არის, რომ მეფე სოლომონის შემდეგ იუდეა და ისრაელი ცალ-ცალკე სახელმწიფოები იყვნენ - იუდეა ორით, ისრაელი კი ათი მუხლით. იმ დროს წინა აზიაში ასირიელები ბატონობდნენ და არა ბაბილონელები. ერთ-ერთი წყაროს თანახმად, 722 წელს ასურეთის მეფე სარგონ (შარუკინ) მეორემ აიღო სამარია და მისი ისრაელობა გაფანტა თავის მსოფლიო სახელმწიფოში“.

ეს იყო ებრაელთა პირველი დიდი განთესვა და მისი კვალი რიგი წყაროების (პლატონ იოსელიანი, კათოლიკოსი კირიონ მეორე, 1849 წლის „კავკასიური კალენდარი“) მიხედვით, საქართველოშიც უნდა მოდიოდეს. საერთოდ, ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს კი იმავე ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ჯერ კიდევ ბიბლიური მოსეს ეპოქაში ჰქონია ადგილი (ყოველივე ამის შესახებ უფრო ვრცლად „... აქეს ღმერთი ისრაელთა“ (გაზეთი „მენორა“ №2, 2019წ, - რედ.).

ასე რომ, უხსოვარი დროიდან პლანეტის მერიდიანებზე დიასპორებად თუ უმისოდ გაბნეულ ებრაელობას ეროვნების მიმანიშნებელი ტერმინის გვერდით სადაურობის აღმნიშვნელი ზედსართავიც მოემატა. მსაზღვრელ-საზღვრულის ერთობლიობამ კი მტკიცედ დაამკვიდრა ცნებები, რომელთა უფართოესი დიაპაზონი კონტინენტური გეოგრაფიიდან ლოკალურ ტოპონიმიკამდე ვრცელდება და თან რასობრივ მაჩვენებელსაც მოიცავს: „ამერიკელი ებრაელი“, „ევროპელი ებრაელი“ (აშკენაზი), „აფრიკელი ებრაელი“, „ზანგი ანუ აფრო-ამერიკელი ებრაელი“, „შუა აზიელი ებრაელი“, „რუსი ებრაელი“, „მთიელი ებრაელი“ (ლახლუხა), „ქართველი (ახალციხელი, ცხინვალელი, ონელი, გორელი, საჩხერელი, კულაშელი და ა.შ.) ებრაელი“ და სხვა.

აღნიშნულის მიხედვით, პლანეტაზე მჭიდროდ ფეხმოკიდებულ ებრაელთა სადაურობის ვრცელ სპექტრს მხოლოდ „სომეხი ებრაელის“ ცნება აკლია, რაც, პრაქტიკულად, არც არსებობს.

ისტორიულ სამშობლოში რეპატრირების ვრცელმა პროცესმა ებრაული დიასპორები პოსტსაბჭოთა სივრცეში, მართალია, მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ სომხეთთან მიმართებაში არც ეს მიზეზი მიზეზობს. და ეს საბჭოთა სივრცეში მოსახლეობის აღწერის უკანასკნელმა, 1990 წლის მონაცემებმა ცხადყო.

საუკუნეთა მანძილზე ამიერკავკასიის ცალკეულ რეგიონებში ებრაელობა ძირითადი ადგილობრივი ეთნოსის პარალელურად მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად მოდის. რაც შეეხება სომხეთს, საკითხი სცილდება მოსკოვური KBH-ების საოხუნჯო დონეს და სერიოზულ კვლევას საჭიროებს, რაც ებრაელთა ისტორიის შესწავლის საქმეში კიდევ ერთ ფურცელს გადაშლის. სომხეთში, არაქსის ხეობაში, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილმა ძველი ებრაული სასაფლაოს ნაშთებმა მსოფლიო ებრაული პრესა ააჭრელა. ამ ფაქტმა საყოველთაო გაოცება გამოიწვია და საერთაშორისო მედიის სხვა არხებიც დააინტერესა. აღნიშნულის მიუხედავად, ეს თემა სულაც არ არის „ყამირი“. ლიტერატურა, ისტორიული წყაროები, ხალხური თქმულებანი მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს.

1945 წელს გამოცემულ საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომათა მე-3 ტომში დაბეჭდილია პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეკის ვრცელი სამეცნიერო რუსულენოვანი ნარკვევი „RMENO-HEBRAIKA“. ნაშრომი ჩვენი მსჯელობის კონტექსტში ბევრ უნიკალურ ცნობას გვაწვდის. კერძოდ, ძველი სომხეთის ტერიტორიაზე ებრაელთა გამოჩენა (ისევე, როგორც ასირიელების და, საერთოდ სემიტების) უკავშირდება ახლო აღმოსავლეთში სპარსეთის ბატონობის ეპოქას. ეს გარემოება განაპირობებს ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის ჩასახვას, რაშიც სემიტები მთავარ როლს თამაშობდნენ. ჰეროდოტეს ცნობით, მთლიანად სპარსეთის იმპერიის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში და, კერძოდ, ბაბილონსა და ევფრატისპირა სომხეთს შორის ვაჭრობაში წამყვან როლს ასირიელები ასრულებდნენ.

გარდა ამისა, მელიქსეთ-ბეკის თქმით, ებრაულარამეული, ბერძნული, სომხური და ქართული წყაროები სომხეთში ებრაელთა გამოჩენას ბევრად ადრეულ ეპოქას, სომხეთის სახელმწიფოებრიობამდელ პერიოდს უკავშირებენ. ამასთანავე, ავტორი იოსებ ფლავიუსსაც იმოწმებს, რომელიც, თავის მხრივ, ქალდეურ წყაროს მოიხმობს.

V-VI საუკუნეების ცნობილი სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენაცი (იგივე მოვსეს ხორენსკი, როგორც მას მელიქსეთ-ბეკი მოიხსენიებს) ებრაელთა დამტყვევებელი ბაბილონელი მეფის, ნაბუქოდონოსორის ეპოქას იმ ნიშნით გამოარჩევს, რომ მას უკავშირებს სომხეთში ბაგრატუნების წინაპართა გამოჩენას. ხორენაცი ნაბუქოდონოსორის თანამედროვე სომეხი მეფეთავადის, ჰრაჩიას შესახებ აღნიშნავს, რომ მან ნაბუქოდონოსორს გამოსთხოვა ტყვე ებრაელთა ერთ-ერთი თავკაცი შამბათი (შმბათი), დიდი პატივით ჩამოიყვანა და დაასახლა სომხეთში. სწორედ მან დაუდო სათავე ბაგრატუნთა გენეტიკას. ხორენაცი „სომხეთის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ „მეფე ვაღარშაკმა ებრაელი წარმომავლობის ძლიერსა და ბრძენ შამბათ-ბაგრატს და მის შთამომავლობას არშაკიდთა დინასტიის გვირგვინდებისა და ბაგრატუნთა საგვარეულო პატივი უბოძა“. ამავე ებრაელ ბაგრატზე ხორენაცი მეორეგან წერს, რომ მეფისადმი გამოჩენილი თავდადებისა და ვაჟკაცობისათვის ბაგრატის შთამომავლობა დაჯილდოვდა სახლთუხუცესის ტიტულით, მეფის გვირგვინდების უფლებით, გვირგვინთუხუცესისა და ასპეტის წოდებებით. შემდგომ ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ ბაგრატუნების საგვარეულომ უარყო წინაპართა რჯული და წინაპართა სახელები. სავარაუდოა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ, როგორც ხორენაცი აღნიშნავს, ბაგრატუნები, ებრაული წარმომავლობის გამო, არშაკიდთა დინასტიის თავდაპირველ მეფეთაგან დევნას განიცდიდნენ. მაგალითად, მეფე ვაღარშაკმა არმავირში სთხოვა ებრაელ შამბათ-ბაგრატს, უარეყო ებრაული რჯული და თაყვანი ეცა კერპებისათვის, მაგრამ შამბათი არ დასთანხმებია.

თუმცა, მელიქსეთ-ბეკი თავის ნაშრომში ისტორიკოს ვარაგაშიანის შენიშვნას იზიარებს იმის თაობაზე, რომ ხორენაცი ზედმეტად იყო გატაცებული ბაგრატუნთა ებრაული წარმომავლობის იდეით და ისტორიის კვლევისას ყოველ შემხვედრ ებრაელს ბაგრატუნად მიიჩნევდა. მელიქსეთ-ბეკის „ARMENO-HEBRAIKA“ ბაგრატუნთა პარალელურად ბაგრატიდთა საგვარეულოს ებრაულ სათავეებს მიმოიხილავს და მოიხმობს XI საუკუნის ქართველ ისტორიკოს სუმბათ დავითის ძეს და

(დასასრული მე-8 გვერდზე)

ად მეავე ესრიმ!

მალხაზ ბათიაშვილი-80!

შვილიშვილებთან და
შვილთაშვილებთან ერთად

8 მაისს ისრაელში, თელ-ავივში შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების, და-ძმისა და ახლო ნათესავ-მეგობრობის გარემოცვაში საზეიმოდ აღინიშნა თბილისის თბილისის სალოცავის ჯამაათის განუყრელი წევრის მალხაზ (ფილხაზ) ბათიაშვილის დაბადების 80 წლისთავი.

იყო საუბარი მასზე, როგორც ჩინებულ მეუღლეზე, მამაზე, მეგობარზე, ჯამაათის წევრზე, საქმინობისას სანდო პიროვნებაზე. ხოლო 17 მაისს, პარასკევ საღამოს თბილისის დიდი სალოცავის გაბაიმ მ. ჩანჩალაშვილმა საჯაროდ მიულოცა მ. ბათიაშვილს საიუბილეო თარიღი, რასაც ჯამაათის ერთსულოვანი მილოცვა მოჰყვა.

ებრაელი კაცისათვის ეს იუბილეს ჩატარების ყველაზე კარგი ფორმაა.

მინისტრი არ მივიდა

ისრაელის კულტურისა და სპორტის მინისტრმა მირი რეგევმა უარი თქვა დასწრებოდა თელ-ავივში გამართულ სიმღერის საერთაშორისო ფესტივალს „ევროვიზია-19“. მინისტრმა არ დაასახელა ის მიზეზი, თუ რატომ აცხადებს უარს „ევროვიზია-19“ დასწრებაზე, თუმცა, საინფორმაციო საშუალებების ცნობით, მირი რეგევი მისაწვევ სტუმართა თავდაპირველ სიაში არც გახლდათ. გარდა პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიაჰუსა, მისაწვევ პერსონათა სიაში იყვნენ მხოლოდ იმ უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებმაც კონკურსის ჩატარებაში ფინანსური მონაწილეობა მიიღეს. მირი რეგევი კი სიაში კულტურის სამინისტროს განსაკუთრებული თხოვნის შემდეგ შეუყვანიათ.

ადრე, ჯერ კიდევ შარშან, მირი რეგევი თხოულობდა, „ევროვიზია-19“ იერუსალიმში უნდა ჩატარდესო, ხოლო კლიპები არა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ ისრაელის ტერიტორიებად აღიარებულ, იმ ადგილებშიც უნდა იქნას გადაღებული, რომლებიც ისრაელს უკავიაო.

მადონას სკანდალი

„ევროვიზია-19“ სტუმარი გახლდათ ცნობილი მომღერალი — მადონა. კონკურსის საფინალო კონცერტზე მას რამდენიმე სიმღერა უნდა შეესრულებინა და შეასრულა კიდეც, მაგრამ მის გამოსვლას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია: მიმღერლის შესრულებისას მის უკან მოცეკვავეებს ზურგზე ისრაელისა და პალესტინის დროშები ჰქონდათ მიხატული. ამან კი ისრაელის პრესის ნეგატიური გამოხმაურება გამოიწვია ჯერ ერთი იმიტომ რომ გამოხატეს თანაგრძნობა პალესტინელთა მიმართ, მეორეც და რაც მთავარი გახლავთ, „ევროვიზიის“ კონკურსი პოლიტიკურ მიზნებს არ სცნობს. ევროპის სამაუწყებლო კავშირმა მადონას ქმედება გაკიცხა.

მის სპეციალურ, ვრცელსათაურიან ტრაქტატს - „ისტორია ბაგრატიდთა, ჩვენს ქართველ მეფეთა, საიდან მოვიდნენ ისინი ამ ქვეყანაში, ან როდიდან განაგებენ ქართველთა სამეფოს“.

* * *

სომხეთში ებრაელთა მასობრივი გადმოსახლება თარიღდება მხოლოდ ჩვენს ერამდე პირველი საუკუნით, ტიგრან მეორის, იმავე ტიგრან დიდის სირიასა და პალესტინაში ლაშქრობის შემდეგი პერიოდით, რასაც, პირველ რიგში, ადასტურებენ იოსებ ფლავიუსი („ებრაელთა რომაელებთან ომების ისტორია“) და მოსე ხორენაცი („სომხეთის ისტორია“). ფტოლემაიდში ლაშქრობის შედეგად ტიგრანმა დაატყვევა მრავალი ებრაელი და ჩამოასახლა არმავირსა და ვარდგესავანში. არმავირიდან კი მოგვიანებით ქალაქ ერვანდში გადაასახლა. სომხური ქალაქების ებრაული ელემენტებით დასახლება ზემოაღნიშნულის შემდეგაც გაგრძელდა, როცა სომეხთა ჯარები სპარსელებთან კავშირში პალესტინის გავლით იერუსალიმსა და მარისში შევიდნენ და ტყვე ებრაელები შამირამში, ანუ ვანაში გადმოასახლეს. ისტორიკოს მანანდიანის აზრით, იუდეის მოსახლეობის სომხეთში გადმოსახლების ფაქტი ეჭვს არ იწვევს. ავტორი ვარაუდობს, რომ გარდა პირველი ტყვეობის ებრაელებისა, შესაძლოა, ყოფილიყო მეორე ტყვეობის ებრაელობაც. რაკი პართენონელები თავიანთ მოკავშირე სომხებთან ერთად ხანგრძლივ ომებს აწარმოებდნენ სირიაში, ისინი იუდეაშიც შეიჭრნენ (ჩვენს ერამდე 40 წელს) და დატყვევებულთა ნაწილი, წესით, პართენონელთა მოკავშირე სომხებსაც უნდა რგებოდათ (Я.Манандян. “О торговле и городах Армении”). არშაკიდთა პერიოდში, როგორც ხორენაცი აღნიშნავს, ადგილი ჰქონდა ებრაელთა გადასახლებას ერთი ქალაქიდან მეორეში უკვე თავად სომხეთის შიგნით. ამის შედეგია, მაგალითად, სავაჭრო დაბა-ქალაქის ვაღარშაპატის წარმოშობა, რაც სიტყვა-სიტყვით „ახალ ქალაქს“ ნიშნავს. განსაკუთრებით ძვირფასია ფაუსტ ბიზანტიელის ცნობები, რომლებიც მე-4 საუკუნეში სომხეთის ქალაქთა მოსახლეობის რაოდენობას ეხება და მითითებულია სომეხთა და ებრაელთა ურიერთშეფარდებაც. სპარსეთის მეფე შაჰუჰ მეორის სომხეთში ლაშქრობისას (ახალი სტილით 364-367წწ.) დაინგრა და დაცარიელდა არაერთი ქალაქი, საიდანაც სპარსეთში ტყვედ წაასხეს როგორც სომეხი, ისე ებრაელი მოსახლეობა. მათი განსახლების დინამიკას, ჩემს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, აქ წარმოდგენილი სქემის სახით გთავაზობთ.

ქალაქები (კომლებში)	დატყვევებული	სომხეთი	მოსახლეობა ებრაელები
არმავირი	?	?	?
ვარდგესავანი		?	? ?
შამირამი	?	?	?
არტაშატი	(49000)	40000	9000
ერვანდშატი	(50000)	20000	30000
ვაღარშაპატი		19000	? ?
ზარეჰავანი	(13000)	5000	8000
ზარიშატი	(24000)	10000	14000
ვანა-ტოსპი	(23000)	18000	5000
ნახიჩევანი	(18000)	2000	16000

ებრაული კვალის კვლევისა და ისტორიული წარსულის მიმოხილვისას ჩემს ანალიტიკურ ნარკვევებში სომხეთში სახელმწიფოებრიობამდელი ეპოქიდან ჩვენი წელთაღრიცხვის XII საუკუნემდელ პერიოდში ებრაელთა მკვიდრობის დამადასტურებელი არაერთი უნიკალური ფაქტი გამოვამზეურე, რაც ჩემსავე ვრცელ ნაშრომში ავსახე. ამ შემოკლებულ წერილში კი მხოლოდ ზემოაღნიშნულით შემოვიფარგლები. თუმცა, ფაქტია, რომ ებრაელების ადრინდელი შთამბეჭდავი რაოდენობა საუკუნეებს თან გაჰყვა. რაღაც ნაწილმა კი ქრისტიანობა იწამა და სრული ასიმილაცია განიცადა. ამ ყოველივეს ერთ-ერთ მიზეზად მძაფრი, სომეხთათვის რთულად შესაგუებელი კონკურენციაც იქცა. შედეგად კი სომხეთი მკვიდრი ებრაელობის გარეშე დარჩა. თუმცა, გარდასულ საუკუნეთა გამოძახილად იქ დღესაც კი ჟღერს ფართოდ გავრცელებული გვარები, რომელთა ეტიმოლოგია ებრაულია, მეტიც - ფუძე ბიბლიურ სახელებს უკავშირდება: ისრაელიანი (ისრაელი), აბრამიანი (აბრაამი), ისაკიანი ან საააკიანი (ისააკი), აკოფიანი (იაკობი), ოვსეპიანი ან ოსეპიანი (იოსები), მოვსესიანი (მოსე), დავთიანი (დავითი), სოლომონიანი (სოლომონი), სიმონიანი (სიმონი), სამველიანი (სამუელი), გაბრიელიანი (გაბრიელი), ეფრემიანი (ეფრაიმი), მანველიანი (იმანუელი), მურდუხტიანი (მორდეხაი) და სხვა.

ანალოგიური პრინციპით გახლავთ ნაწარმოები გვარები, რომელთა საფუძვლად მაცხოვრის ებრაელი მოწაფეების - შემდგომში მოციქულთა სახელები მოიაზრება და რომელთა აქტუალობა ქრისტიანობის გავრცელებამ განაპირობა: მათეოსიანი (მათე), მარკოსიანი (მარკოზი), ლუკასიანი (ლუკა), ოვანესიანი ან ოგანესიანი (იოანე), ანდრიასიანი (ანდრია), პეტროსიანი (პეტრე), თუმასიანი (თომა), თადეოსიანი (თადეოზი) და ა.შ.

დავით ბუზუკაშვილი
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003